ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: ომარ ჯანჯღავა

საფუძველი: 26.11.2013წ 12/13330757-16

მისამართი: ქ.თბილისი, (სექტორი-ისანი), რიყის ტერიტორია, ღვინის აღმართი და ღუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე.

საკ.კოდი: 01.17.01.090.026

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება: 04.12.2012 წ. №442740 AR187135

ფუნქციური დანიშნულება: საბოილერო (დამხმარე-ტექნიკური ნაგებობები). **III კლასი**

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (30.11.13) დადგინდა:

„ა-დ" ფასადზე: „ა-ა" ღერძის გარეთ მისსავე საკუთრებაში არსებულ №01.17.01.090.039 მიწის ნაკვეთში მოწყობილია გამწოვი მილი. ამავე ღერძთან კედლის ძირი შესალესია, ხოლო ფრამუგის გაბარიტი შეცვლილია. „ბ-ბ" ღერძთან კარის წინ მოწყობილია ბაქანი. ამავე ბაქანთან შეცვლილია კიბის ღებვის ფერი და გაზრდილია საფეხურების რაოდენობა. „დ-დ" ღერძთან კარის ნაცვლად მოწყობილია ვიტრაჟი. ამავე ვიტრაჟის ქვეშ მოწყობილია კედელი. „ა-ბ" მონაკვეთში +3.40 ნიშნულზე მოაჯირი აწეულია ზემოთ, გაზრდილია მისი სიგანე, ხოლო მის ქვეშ მოწყობილია შველერები. ამავე ნიშნულზე ერთიანი ჩილერის ნაცვლად მოწყობილია ცალკე მდგომი ჩილერები, რის ხარჯზეც შეცვლილია მისი გაბარიტი. ამავე ჩილერთან შემცირებულია საკვამურების რაოდენობა. „დ-დ" ღერძთან +3.80 ნიშნულის ქვეშ მოწყობილია ლითონის ბადე, რის ხარჯზეც შემცირებულია კედლის სიმაღლე. ამავე ნიშნულზე შეცვლილია ტრანსფორმატორის კონფიგურაცია და გაბარიტი. ამავე ტრანფორმატორთან მოწყობილია გამწოვი მილები.

±0.00 ნიშნულზე კოლონები ნაწილობრივ გამოდის კედლის სიბრტყიდან, ხოლო ღერძებს შორის მანძილი არ ემთხვევა საპროექტოს. „1-1" ღერძის გარეთ ამავე ნიშნულის ქვეშ მოწყობილია ღიობი. **აღნიშნული ღიობის ქვეშ მოწყობილია 10მ^2 ფართის, H1.60მ სივრცე, რომელიც ნაწილობრივ გადადის მისსავე საკუთრებაში არსებულ №01.17.01.090.039 მიწის ნაკვეთში.** +3.40 ნიშნულზე „გ-გ" ღერძთან შემცირებულია კიბის სიგანე. „გ-გ" და „2-2" ღერძების კვეთაზე გაუქმებულია კიბე. +3.40 ნიშნულზე ნაწილობრივ ხოლო, +4.00 ნიშნულზე სრულად მოწყობილია ლითონის კონსტრუქციის ბაქანი. შეცვლილია ამავე ბაქნების კონფუგურაცია და გაბარიტი.

ფასადზე ქვიშაცემენტის ხსნარის ლესვის და ღებვის ნაცვლად მოწყობილია ლესვა. შეცვლილია ლესვის ნახატი. ასევე შეცვლილია კიბის და მოაჯირის ღებვის ფერი. გაზრდილია მოაჯირის სიგრძე და შეცვლილია მისი ნახატი. ორი კარი აწეულია ზემოთ, შეცვლილია მათი გაბარიტი და ნახატი. გაზრდილია საყრდენი კედლის სიმაღლე და შენობის სიგრძე.

საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით საპროექტო ტერიტორიის ფართობი პროექტში ნაცვენები 50მ^2 ნაცვლად რეგისტრირებულია 73.5მ^2, ასევე შეცვლილია საკადასტრო კოდი.

შეამოწმა _____ გ. ბაღაშვილი

შეამოწმა _____ ბ. პაკელიანი